ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3836976

ნომერი: AR1578999

თარიღი : 20.02.2018

გაცემის თარიღი : 22.02.2018

გაცნობის თარიღი : 22.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი თიანეთი , N 28 ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გოცაძე პ/ნ 01002011521
- თბილისი გლდანი VI მ/რ კორ. 18 ბ. 7

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს ვარსკვლავი+ კოდი: 405106656

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 ივლისის № 2697778 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 20 თებერვალს №AR1578999 განაცხადით მომართა გიორგი გოცაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 26 ივლისის № 2697778 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 26 ივლისის № 2697778 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, თიანეთის გზატკეცილი №28, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.11.05.011.095) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2018 წლის 07 თებერვლის #3812003 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2016 წლის 26 ივლისის №2697778 ბრძანებაში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 4743.0 კვ.მ, საზაფხულო ფართობად დაფიქსირდა 645.6 კვ.მ, ავტოსადგომების ფართობად დაფიქსირდა 864.7 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტებით, ვინაიდან სამსახურის 2018 წლის 07 თებერვლის #3812003 ბრძანებით შეიცვალა 2016 წლის 26 ივლისის № 2697778 ბრძანებაში დაფიქსირებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ცვლილება განიცადა საერთო ფართობის მაჩვენებელმაც. შესაბამისად, ითხოვს საერთო ფართობის მაჩვენებლის - 6688.6 კვ.მ-ის ნაცვლად, 7552.1 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საერთო ფართობის მაჩვენებელი შესაბამისობაშია სამსახურის 2016 წლის 26 ივლისის № 2697778 ბრძანებასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 ივლისის № 2697778 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი: 7552.1 კვ.მ.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 ივლისის № 2697778 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.